

სწავლებისა და კვლევის გაერთიანება საქართველოს უნივერსიტეტებში – რეფორმის ევროპული განზომილება

ლელა სამნიაშვილი

უმაღლესი განათლების ფილოსოფიის მაგისტრი, ოსლოს უნივერსიტეტი
e-mail: lelikos@yahoo.com

ანოტაცია

სტატიაში საუბარია საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტზე - სადოქტორო, ანუ მესამე საფეხურის პროგრამების ჩამოყალიბებაზე საქართველოს უნივერსიტეტებში, რაც სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას გულისხმობს. განხილულია რეფორმის ეროვნული, ევროპული და გლობალური კონტექსტები, ბოლონის პროცესზე აქცენტი; აგრეთვე, ქართულ უნივერსიტეტებში კვლევის ორგანიზებასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლო სტრატეგიები.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ, რომელიც საბჭოთა ნანგრევებიდან დასავლური სტანდარტების სისტემად ცდილობს განვითარდეს, მიმდინარე რეფორმის პირობებში ტრანსფორმაციის რამდენიმე წარმატებული საფეხური გაიარა. ინსტიტუციური აკრედიტაციის, ისევე როგორც აბიტურიენტთა უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მექანიზმი უფრო გამჭვირვალე პროცედურის საშუალებით უკვე ფუნქციონირებს 2004 წელს შემუშავებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. საქართველოში გაცნობიერებული ხდება, რომ უმაღლესი განათლების სისტემა უფრო მოქნილი, საერთაშორისო და არა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის უნდა იყოს ქვეყნისათვის; და რომ მიმდინარე რეფორმის უშუალო მიზანია ამ სისტემის ევროპულ კონტექსტში მოთავსება.

2005 წლის მაისში საქართველო შეუერთდა ბოლონის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე 2010 წლისათვის. ერთ-ერთი მოთხოვნა ამ სივრცის წევრი ქვეყნებისათვის არის უმაღლესი განათლების საერთო სტრუქტურის - სამ საფეხურიანი აკადემიური პროგრამების შემუშავება (სამსაფეხუროვანი სისტემა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აკრედიტირებულ უნივერსიტეტებში. ბოლო პერიოდში დაიწყო თვისებრივი რეფორმებისაკენ სვლა აღნიშნული საფეხურების შესაბამისად, აკადემიური პროგრამების პროფილის გათვალისწინებით, საერთო ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შემუშავების თვალსაზრისით (თიუნინგის პროექტი). მოცემული ვადებიდან გამომდინარე, საქართველომ საკმაოდ მცირე დროში უნდა მოახერხოს თავისი უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ მოდელზე ტრანსფორმირება ახალი საფეხურებრივი პროგრამებისათვის გამართული სტრუქტურისა და შინაარსი შემუშავებისა და მათი განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნით. რეფორმა მრავალ შრეს მოიცავს და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია იმ ფორმატის შეცვლა, რომელშიც სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობდა წინა პერიოდის საქართველოში. სადოქტორო, ანუ მესამე საფეხურის პროგრამების ჩამოყალიბება საქართველოს უნივერსიტეტებში გულისხმობს დასავლური მოდელების შესაბამისად, სწავლებას და კვლევას შორის იმაზე უფრო მჭიდრო კავშირის დაფუძნებას უნივერსიტეტების ბაზაზე, ვიდრე ეს საბჭოთა პერიოდში იყო. მიუხედავად იმისა, რომ

უნივერსიტეტებს საბჭოთა კავშირშიც გააჩნდათ სამეცნიერო განყოფილებები, მეცნიერებათა აკადემია მთავარ კვლევით დაწესებულებას წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ-სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და სახელმწიფოს მიერ დაკვეთილ კვლევებს აწარმოებდა. უნივერსიტეტებს საკუთარ თავზე ძირითადად სწავლების ფუნქცია ქონდათ აღებული და კვლევაში სტუდენტების მონაწილეობა შეზღუდული მასშტაბებით ხორციელდებოდა. დღეს ამ სტრუქტურის გადაკეთება დიდ პოლემიკას იწვევს, თუმცა ამ ცვლილების საჭიროების მიზეზებში ჩაღრმავება პასუხს ბევრ კითხვაზე იძლევა.

საბჭოთა უნივერსიტეტები, როგორც იმპერიის სხვა დაწესებულებები, პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკური მრწამსის ერთგულ ორგანიზაციებად იყო ჩაფიქრებული. იდეოლოგიისაგან თავისუფალი აკადემიური სწავლება ამ პერიოდის უნივერსიტეტებში არ არსებობდა. საბჭოთა მთავრობა განათლებას და მეცნიერებას პოლიტიკური პრიორიტეტების და სამხედრო იმპერატივების საფუძველზე აფინანსებდა და დამოუკიდებელი კავშირი სწავლებასა და სამეცნიერო კვლევას შორის, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა. მეცნიერებათა აკადემიის ფესვები მე-18 საუკუნის რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიაშია. გასაგებია, რომ უძველესი ქართული სასულიერო აკადემიების და იქ მიმდინარე კვლევის ტრადიცია, რომელთა განხილვაც ბერძნულ მოდელთან მიმართებაშია შესაძლებელი, ამ კონტექსტში არ გამოდგება. ევროპაში ამ დროს გერმანული, ჰუმბოლდტისეული მოდელი მკვიდრდება, რომელიც კვლევის თავისუფლების, მეცნიერ-მასწავლებლების სახელმწიფო იდეოლოგიისაგან თავისუფლების და სწავლების და კვლევის ერთიანობის პრინციპებს დაეფუძნა და რომელმაც შემდეგ განვითარება ჰპოვა დანარჩენ ევროპაში, აშშ-სა და აზიის რიგ ქვეყნებში. მეცნიერებათა აკადემიები არსებობდა ევროპის ქვეყნებშიც, მაგ. საფრანგეთში, თუმცა ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში კვლევის მაქსიმალურმა მილიტარიზაციამ ეს მოდელი დააკნინა და გერმანულთან შედარებით არაპროგრესული გახადა, რის შედეგადაც პარალელური კვლევითი ტრადიციები გაჩნდა უნივერსიტეტებშიც. რაც შეეხება ისევ საქართველოს, ლოგიკურია, რომ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, როგორც მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა იმპერიის ნაწილი, თავისი უმაღლესი განათლების სისტემით ის გაერთიანებული იყო იმპერიის განათლების სისტემაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კი დაარსდა 1941 წელს ყოვლად-საკავშირო მეცნიერებათა აკადემიების საქართველოს ფილიალის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, სადაც რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი და სამეცნიერო ცენტრი ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში. მიუხედავად წამყვანი საბჭოთა იდეოლოგიისა და სტრატეგიული ინტერესებისა, ქართველი მეცნიერების მიღწევები მათემატიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ლინგვისტიკის და სხვა დარგებში, პოლიტიკურ ჩარჩოებს სცილდებოდა და მეცნიერული ინდივიდუალიზმის საფუძველზე ვითარდებოდა. შესაბამისად, ქართველი ინტელიგენციის ბევრი იმდროინდელი მონაპოვარი ფასდაუდებელია წმინდა სამეცნიერო თვალსაზრისით.

ფაქტიურად, დღეისათვის საქართველოს მეცნიერების აკადემიისაგან რაც დარჩა, მისი სამეცნიერო ინსტიტუტების შენობებია ძველი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომლის საფუძველზეც თანამედროვე კვლევა ყოველგვარი დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელი და შესაბამისად, არარსებულიცაა, და თანამშრომლები, რომლებიც სამუშაო ადგილებზე უფრო პროფესიული ჩვევების და პრესტიჟის გამო დარჩნენ იმ

იმედით, რომ მომავალში დაბრუნდებოდა კვლევისათვის საჭირო პირობები. ის, რასაც დღევანდელი რეფორმა სთავაზობს ამ ხალხს არა რეკონსტრუქცია, არამედ სრული დეკონსტრუქციაა. მეცნიერებმა, რომლებსაც პროფესიულ მიღწევებთან ერთად უცხო ენის ფლობის პრობლემა არ გააჩნდათ, კარგა ხანია, რაც დატოვეს სისტემა და აღმოსავლეთ ევროპისათვის განსაკუთრებულად მტკივნეულ “გონების გადინების” ნაკადს შეუერთდნენ დასავლეთისაკენ. თუმცა, დარჩენილმა უმრავლესობამ არა მხოლოდ საბჭოური, არამედ მთელი საკუთარი წარსული სამეცნიერო მოღვაწეობის დემითოლოგიზაცია ერთდროულად განიცადა და ასე ვთქვათ, საერთოდ “კვლევის კონტექსტს გარეთ” აღმოჩნდა.

როცა უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში გვსურს გაწევრიანება, რათა ქართველ სტუდენტებს მობილურობის მეტი საშუალება მიეცეთ და ქართულ დიპლომებსაც არა მხოლოდ ლოკალურ კონტექსტში მიენიჭოს მნიშვნელობა, პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ საერთო სისტემის მექანიზმის მთლიანობაში გათვალისწინება, რომლის ნაწილიც უნდა გახდეს ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა. როგორც უკვე აღინიშნა, განათლების სამინისტროს მიერ წამოწყებული რეფორმა ევროპული სტანდარტების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლას მოიცავს და სწავლების მესამე, საბოლოო საფეხურად სადოქტორო პროგრამების შემოღებას გულისხმობს, რაც სწავლებას და კვლევას მჭიდროდ აერთიანებს საუნივერსიტეტო ბაზაზე. კვლევის დაფინანსება ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა, რომლის გადაჭრაც საქართველოს მთავრობას მოუწევს მომავალ სადოქტორო პროგრამებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული რეფორმა მიუხედავად ევროპული კურსისა, ამერიკული ინსტრუქციების ნაზავს შეიცავს. დასავლეთში დღეს ევროპული და ამერიკული უმაღლესი განათლების სიტემები ორ სხვადასხვა მიმართულებად ითვლება პირველ რიგში სახელმწიფოს და უნივერსიტეტების ურთიერთობის თვალსაზრისით. ამერიკამ სახელმწიფო კონტროლი მინიმალურად შეამცირა უნივერსიტეტებზე და შესაბამისად, დაფინანსების საკითხის მოგვარება ძლიერ ბაზარს მიახლო. ევროპაში, უნივერსიტეტებისათვის საჭირო ავტონომიის ფარგლებში, სახელმწიფო წამყვან როლს ინარჩუნებს უნივერსიტეტების დაფინანსებასა და მათ ხელმძღვანელობაში. ამერიკული მოდელის წარმატება ბოლო ხანებში ამ მოდელს სულ უფრო მეტად პოპულარულს და მისაბამს ხდის, თუმცა ევროპული მიმართულება ტრადიციის ერთგული რჩება. ისიც ფაქტია, რომ ამერიკული განათლების სისტემის წარმატება, განსაკუთრებით კვლევით საფეხურზე, ”გარე რესურსების”, ”მსოფლიოს საუკეთესო ტვინების” აქტიურად მოზიდვითაცაა მნიშვნელოვანდ განპირობებული.

საქართველომ მკვეთრად უნდა განსაზღვროს საჭირო გზა ევროპულ სივრცეში გაერთიანების მცდელობისას. ექსკლუზიურად ბაზარზე ორიენტირებული ამერიკული მოდელის გადმოტანა ამ შემთხვევაში არაადეკვატურია, რამდენადაც საქართველოში განათლების სფეროს თვალსაზრისით, ბაზარი, როგორც მექანიზმი, ჩამოუყალიბებელია და უმაღლესი განათლების სისტემის მისთვის მინდობა მოცემულ ეტაპზე მის გაუთვალისწინებელი მიმართულებებით დეგრადაციას გამოიწვევს. შეიძლება პოსტ-საბჭოთა პერიოდის საქართველოში, განათლების პოლიტიკის არარსებობის პირობებში ინერციით გამრავლებული უნივერსიტეტების დღევანდელმა ლოგიკურმა შემცირებამ სტუდენტთა რიცხვი აბსურდული მასიფიკაციის მაჩვენებლებიდან მეორე უკიდურესობამდე - სასურველზე მცირე რაოდენობამდე შეამციროს, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ ფაკულტეტებზე. თუმცა, უფრო სავარაუდოა, რომ

რეფორმის შედეგად სააკრედიტაციო ნორმების შესაბამისობის საფუძველზე შემცირებული უნივერსიტეტების რიცხვი შესაბამისი ნორმების დამაკმაყოფილებელი ახალი კერძო უმაღლესი სასწავლებლებით, თანდათან ისევ ჩანაცვლდეს. ჩვენთან განათლების დიდი ტრადიციების და გლობალური მასიფიკაციის (ანუ უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეთა პროცენტული ზრდით ყველა განვითარებულ ქვეყანაში) ფონზე, ეს ტენდენცია ალბათ უფრო მოსალოდნელი და სასურველიცაა, თუმცა სწავლების მაღალ საფეხურზე, კვლევასთან ურთიერთმიმართებაში, საექვოა ქართული უნივერსიტეტებიდან ბევრმა მოახერხოს ხარისხიანი სადოქტორო პროგრამების განხორციელება. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებათა უმრავლესობა მხოლოდ ერთ ან ორსაფეხუროვან სწავლებას თუ განახორციელებს მომავალში. საქართველომ უნდა შეძლოს სისტემის შექმნა, რომლის უნივერსიტეტების ქსელშიც სადოქტორო პროგრამებით თუნდაც მინიმალური რაოდენობის, მაგრამ ხარისხიანი კვლევა განხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით. სახელმწიფო უნივერსიტეტების გამსხვილების ტენდენცია (მაგ. ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტების შეერთება) ამ თვალსაზრისით ლიგიკურ ნაბიჯად მიგვაჩნია. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რამდენიმე კვლევითი ფუნქციის მქონე უნივერსიტეტის შექმნას და ამ კვლევების დაფინანსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არის საფრთხე, ჩამოვყალიბდეთ პერიფერიულ სისტემად, რომლის უნივერსიტეტებიც ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების შემდეგ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების შეთავაზებას ვერ მოახერხებს. ეს კი ისევ გონებრივი რესურსების კარგვას და ქვეყნის ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას გამოიწვევს, მაშინ როცა ინტელექტუალური რესურსები ალბათ ძირითადია, რაზეც დღეს ქვეყანაში განვითარებისათვის ყურადღების კონცენტრაცია შეიძლება. აი, სწორედ ამ კონტექსტშია საჭირო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სადოქტორო პროგრამებში სწავლების და კვლევის გაერთიანების უზრუნველყოფა, დაფინანსების მექანიზმის შემუშავება და საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში მათი დანერგვა.

როგორც აღინიშნა, სადოქტორო პროგრამების შემოღება უმაღლეს განათლებაში, სწავლების მესამე საფეხურზე, ბოლონის წევრი ევროპული ქვეყნებისათვის ერთ-ერთი საერთო ვალდებულებაა. სადოქტორო პროგრამების ფუნქცია და მნიშვნელობა განსაზღვრულია, როგორც სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიანობა, რომელმაც სხვადასხვა სფეროში მომავალი მკვლევარები უნდა მოამზადოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხით. უდავოა, რომ საქართველოში საჭირო სამეცნიერო გარემოს შექმნა მცირე ფინანსების და მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების პირობებში ძალიან რთულია და შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალიც ლოგიკურად იკარგება განვითარებული ქვეყნებისაკენ “გონების გადინების” პროცესში. დიდი მცდელობაა საჭირო, რომ კვლევისათვის აუცილებელი თუნდაც მინიმალური პირობები ადგილზევე შეექმნათ მეცნიერებს. მსგავსი პრობლემების წინაშე არა თუ საქართველო, ბოლონის მონაწილე ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც კი დგანან. ჩრდილოეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები ევროპის ფარგლებში გონებრივი პოტენციალის მიზიდვის საფუძველზე, სავარაუდოდ, არათანაბარი კონკურენციის პირობებში ჩააყენებენ ”სამხრეთულ” უნივერსიტეტებს. საერთო საგანმანათლებლო სივრცეში ყოფნა კი არ უნდა გულისხმობდეს ეროვნულ, ისევე როგორც ინსტიტუციონალურ დონეზე უნივერსიტეტების მიერ საკუთარი ფუნქციების დათმობის, კონკურენციაზე უარის თქმის და განვითარების შეწყვეტის პერსპექტივას.

მოცემულ ეტაპზე უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში სახელმწიფო პასუხსმგებელია და ერთადერთი სუბიექტიცაა თავის თავზე აიღოს უნივერსიტეტების რეფორმირება და დაფინანსება ყველა საჭირო დონეზე მანამდე მაინც, ვიდრე საბაზრო მიმართულება, გარე დაფინანსების წყაროების ძიების, შიდა ინსტიტუციონალური მძლავრი მენეჯმენტის და უნივერსიტეტებს შორის სალი კონკურენციის პირობები არ იქნება უზრუნველყოფილი. გაუმართლებელია დღეს სადოქტორო პროგრამების ხარჯების სტუდენტებზე დაკისრება, რადგან ამ საფეხურზე განსაკუთრებულად ნიჭიერი, კვლევის უნარის მქონე სტუდენტების ყოლა პირველ რიგში სახელმწიფო ინტერესებში უნდა შედიოდეს და გახმოვანებული სტრატეგიებიდან თუ ვიმსჯელებთ, შედის კიდევ - სახელმწიფო მოხელეების უმრავლესობა საკუთარ გამოსვლებში აქცენტს გამუდმებით ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკასა და ქვეყნის გონებრივ პოტენზიალზე აკეთებს. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა კი არა მხოლოდ მზა ცოდნის დაუფლებისა და პრაქტიკაში გამოყენების, არამედ ცოდნის მუდმივი განახლებისა და ახალი ცოდნის წარმოქმნის მექანიზმებს ეფუძნება. ასეთი ცოდნის წარმოქმნა ძირითადად პრიორიტეტულ სფეროებში კვლევების წარმოებით ხორციელდება ყველა თანამედროვე სახელმწიფოში. სადოქტორო საფეხურზე საქართველოში სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი თუა სწავლის საფასურის გადახდისუნარიანი. საკმარისი რაოდენობით სასტიპენდიო ფონდების ჩამოყალიბებას და დაფინანსების მათი მეშვეობით მიღებას კი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდება. აუცილებელია შევინარჩუნოთ გარკვეული სახის უწყვეტობა საუნივერსიტეტო კვლევის თვალსაზრისით, რადგან კვლევის ტრადიციის თუნდაც დროებით დაკარგვა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომავალში მთელი რიგი და პირველ რიგში, კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები გადაიჭრება, ქვეყანაში ადგილობრივი ინტელექტუალური პოტენციალის კიდევ უფრო დიდი დეფიციტს გამოიწვევს.

უმაღლესი განათლების ევროპული და ამერიკული მოდელების სინთეზი საქართველოში გაურკვეველი მიმართულების ჰიბრიდს ქმნის. ერთის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან განათლების სფეროს მარეგულირებელი ფუნქციების მაქსიმალურად შენარჩუნებით და მეორეს მხრივ, დაფინანსების საკითხებში უკიდურესი ლიბერალიზმის წახალისებით, რეფორმამ საქართველოს უნივერსიტეტებში შეიძლება სრულიად დაუგეგმავი შედეგები გამოიღოს. ამასთან, კარგი იქნებოდა, განათლების სამინისტროს ნეო-ინსტიტუციონალური თეორიითაც ეხელმძღვანელა რეფორმის ჟამს, რომელიც უნივერსიტეტების ლოკალურ თავისებურების გათვალისწინებით ახდენს სასურველი ცვლილებისასთვის შესაფერისი ფორმის მონახვას. რეფორმებს დასავლური მოდელების არა მხოლოდ ეროვნულ კონტექსტთან შეხამებით, არამედ თითოეულ ინსტიტუციონალურ დონეზე გააზრებულად სჭირდება განხორციელება. უნივერსიტეტები ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და რთული ორგანიზაციებია, ცვლილების გამძლე და კონსერვატიული და ამავე დროს აუცილებელი ცვლილებებისადმი ადაპტირებადი. რამდენადაც პროფესორ-მასწავლებლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ცვლილებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით, სახელმწიფომ უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში საკუთარი რეფორმები უნდა უზრუნველყოს უფრო მოქნილი ბუნებით, ვიდრე ეს სახეზეა დღევანდელ საქართველოში.

სახალხო მენეჯმენტის რეფორმის განხორციელება უნდა დაიწყოს როგორც რეფორმის შემდეგი ეტაპი - უმაღლესი განათლების თითოეული დაწესებულების ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით და პროფესორ-მასწავლებლებთან მაქსიმალური ინფორმაციული გაცვლით. სახალხო მენეჯმენტის რეფორმა ევროპის ქვეყნებში მოწმობს, რომ განათლების სფეროში უნივერსიტეტები არაკადემიური წარსულის მენეჯერებს ისე იღებს, როგორც უცხო სხეულებს და იშვიათად ხდება ამ უნივერსიტეტების წარმატებით განვითარება მათი ხელმძღვანელობით, საქართველო კი სწორედ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრობას აპირებს და ალბათ, უნდა გაიზიაროს შესაბამისი გამოცდილება ამ სივრცის წევრი სხვა ქვეყნებისაგან.

და ისევ, ჩვენ სულ ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი რესურსი ინტელექტუალური პოტენციალია, რომელიც განათლების მდიდარი ტრადიციებიდან მივიღეთ მემკვიდრეობით. ამ შემთხვევაში, ადამიანური რესურსების ინტელექტუალური თვალსაზრისით განვითარება მთავარ გზადაც უნდა მოვიაზროთ საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობაში. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგად მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამების შექმნა და კვლევის წარმოება ამ გზის მნიშვნელოვან კომპონენტად უნდა მივიჩნიოთ. სწრაფი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებების ეპოქაში კვლევის უწყვეტობა სიახლეების ფეხდაფეხ სვლის და საკუთარი მიღწევების წარმოჩენის გზაა, რის გარეშეც იგივე ევროპულ კონტექსტში თავის დამკვიდრება წარმოუდგენელია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში გავრცელებული თვალსაზრისით, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაციით მომავალი კვლევითი პროგრამების დაფინანსება მრავალი ფასეულობის დაკარგვა შეიძლება ძალიან მტკივნეული აღმოჩნდეს თითოეული ქვეყნის განათლების სფეროსათვის.

დასკვნა

როგორც აღინიშნა, სადოქტორო სწავლება და კვლევა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და სავარაუდოდ, საქართველოს მწირ ეკონომიკურ პირობებში, სახელმწიფო მხოლოდ პრიორიტეტულ პროგრამებს დააფინანსებს, საკუთარი ხარჯებით კი დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტების მცირე ნაწილი თუ მოახერხებს სწავლას. თუ ქვეყნისათვის პრიორიტეტული კვლევითი პროგრამების განსაზღვრა მხოლოდ არსებულ ეტაპზე ეკონომიკური და პოლიტიკური საჭიროებებით მოხდება, ისინი შესაძლოა რაოდენობრივად მცირე და თვისებრივად ერთხაზოვნად გამოყენებითი აღმოჩნდეს, რამაც შეიძლება დაკარგოს საქართველოში მდიდარი კვლევითი ტრადიცია ისეთ სფეროებში, როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, ფილოსოფია ან ლიტერატურა; ანუ იმ ფუნდამენტურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რომლებსაც ეფუძნება ახალი მიმართულებები ყველა ეპოქაში, საზოგადოებრივი და ტექნიკური განვითარების ყველა ეტაპზე; ამ სფეროებში კვლევის თუნდაც რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტში დაფინანსება და გადარჩენა კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქართველოში ახალი სფეროების განვითარებისათვის მომავალში.